ხელშეკრულება № 178

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი "03" _____ 2012წ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №16 ტელ. 226-13-35, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900 სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სკ-204862078), შემდგომში წოდებული „**შემსყიდველად**", წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის **კონსტანტინე კინწურაშვილის** სახით და **შპს „საჩუქრები 95"** (მის: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი №26, ტელ: 299 80 51, 598 57 95 79; საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №GE84BG0000000346237500, სს „საქართველოს ბანკი", კოდი 220101502, სკ-203826654) შემდგომში წოდებული „**მიმწოდებლად**", წარმოდგენილი მისი დირექტორის **სერგო გეგეჭკორის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი" _ წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2 (ორი) ცალი სასაჩუქრე მოოქროვილი ბალთის (ძველის ასლი) მიწოდება (CPV კოდი - **18530000**)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულებაა: 56 (ორმოცდა თექვსმეტი) ლარი.

3.2 ერთი ცალი სასაჩუქრე მოოქროვილი ბალთის (ძველის ასლი) ღირებულება შეადგენს **28 (ოცდარვა) ლარს.**

3.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.4 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 **მიმწოდებელი** ვალდებულია:

ა) განიხილოს **შემსყიდველის** პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

ბ) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში, ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №16-ში;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 **შემსყიდველი** ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები .

5. ხარისხი

საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს სპეციალისტი მაკა ლომიძე.

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება უხარისხო საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 2 (ორი) დღეში გამოასწოროს წუნი, ან თუ წუნის, გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს საქონლის ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.

6.4 თუ ამ მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება ან თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7.2 საქონლის მიღებას აწარმოებს: მამუკა კვირიკაშვილი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს 2012 წლის 31 დეკემბრისა. თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში ან 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო, შესაბამისად, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუწოდებელი ან წუნდებული საქონლის ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი_შემსყიდველს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, **მისამართი:** ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №16, **ტელეფონი:** 226-13-35, **საბანკო რეკვიზიტები:** ანგ. №200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, **სკ**-204862078	**შპს „საჩუქრები 95",** **მისამართი:** ქ.თბილისი, რუსთაველის გამზირი №26, **ტელეფონი:** 299 80 51, 598 57 95 79, **საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №** GE84BG0000000346237500, **სს** „საქართველოს ბანკი", კოდი 220101502, **სკ**-203826654

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

2012 წლის „03" „მარტი"

ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ 2 (ორი) ცალი საჩუქრის მოოქროვილი ბალთის (ძველის ასლი) შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ხელშეკრულების დადებაზე უფლებამოსილი პირი _____ კონსტანტინე კინწურაშვილი

მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი _____ მამუკა კვირიკაშვილი

ინსპექტირების განმახორციელებელი პირი _____ მაკა ლომიძე